ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 61

ქ. ახალქალაქი 22 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია**, წარმოდგენილი **იურიკ უნანიანის სახით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერი,** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **ი/მ „მიტია გალოიან“**, წარმოდგენილი **დირექტორის მიტია გალოიანის სახით,** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შევთანხმდით შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ˜ (შემდგომ - `ხელშეკრულება˜) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება˜ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია˜ (შემდგომ `შემსყიდველი˜) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი˜ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე˜, `კვირა˜, `თვე˜ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **CPV-45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კარწახის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია)“** შესყიდვა, **ხარჯთაღრიცხვების თანახმად;**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ პირობებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს **3813.24 (სამი ათას რვაას ცამეტი) ლარი და 24 თეთრი, დღგ-ს გარეშე.**

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულული სამუშაოებო უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულებისას ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სარემონტო-სამშენებლო, აღდგენით-სარეაბილიტაციო შესრულებულ სამუშაოთა და მუნიციპალურ საკუთრებაში ობიექტების მიმღები კომისია.

6. სამუშაოს შესრულების პირობები

6.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2018წლის 04 ივლისის ჩათვლით.**

6.2. ხელშეკრულების დამდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

7.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ინსპექტირების ჯგუფი ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

7.3 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების დამთავრებული ეტაპის შუალედური მიღების აქტის საფუძველზე.

7.5 შესყიდვის ობიექტზე სამუშაოების დასრულებით და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ვადის გასვლის შემდეგ ინსპექტირების ჯგუფი დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით ობიექტის დამთავრების აქტის გაფორმებით ახდენს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებას.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს **საგარანტიო ვადა არის 2 (ორი) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის** გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება და ვალუტა

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად. რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

9.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

9.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **ეტაპობრივად** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2 წარმოდგენიდან **10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

10. ფასები

10.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე

[illegible] წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების [illegible]ბებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი [illegible]ადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება–მოვალეობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: – სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია:
14.2 შემსყიდველი ვალდებულია: – უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
14.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
14.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი:
ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას
სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
15.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
15.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის **0,02%-ის** ოდენობით, ან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **2%-ის** ოდენობით შემსყიდველის გადაწყვეტილების შესაბამისად.
15.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **1%-ს,** შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
15.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ **ერთი კვირით** ადრე.
16.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

17.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
17.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

ბრალებლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
17.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
18.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. გამოყენებული სამართალი

19.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. შეტყობინება

21.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
21.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან **2018 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით.**
23.2. ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

24. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. # 11 საიდენტიფიკაციო კოდი 223366122 ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა'' ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 მერი _____/იუ. უნანიან/	ი/მ „მიტია გალოიან" ახალქალაქი, ს. კარწახი საიდენტიფიკაციო კოდი 07001032315 სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 მიმღების ანგარიშის ნომერი: GE95TB7050645061100038 დირექტორი _____/მ. გალოიან/

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კარწახის რიტუალების სახლის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ღირებულება	ჯამი
1	ძველი ბათქაშის დაშორება	კვ.მ	125	0,5	62,5
2	კედლების დაგრუნტება	კვ.მ	208	0,3	62,4
3	კედლების გასწორება თაბაშირის ხსნარით	კვ.მ	125	3,0	375
4	კედლების მთლიანი შელესვა	კვ.მ	208	2	416
5	კედლების შეღებვის გაუმჯობესება წყალემულსიის საღებავით	კვ.მ	208	3,5	728
6	აზბესტის შიფერის დემონტაჟი	კვ.მ	21	1,5	31,5
7	მოლარტყვის მოწყობა 0,4*0,5სმ.	კვ.მ	21	3,8	79,8
8	გადასახურის მოწყობა პროფსაგებით	კვ.მ	38	15,7	596,6
9	კარების ბლოკის დაყენება	კვ.მ	2,87	200	574
10	დამტვრეული მინების შეცვლა	კვ.მ	8,0	23,0	184
11	ტრანსპორტირება				100
	სულ				3209,80
	ზედნადები ხარჯები	10%			320,98
	სულ				3530,78
	გეგმიური დაგროვება	8%			282,46
	სულ				3813,24
	დღგ	18%			686,38
	ჯამი				4499,63

ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის
განყოფილების უფროსი

გ. კალივონჯიან

2018 წლის 22 ივნისი აპრილი # 61 ხელშეკრულების ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ახალქალაქი 22.06.2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს 2018 წლის 05 აპრილის №977 13 ბრძანების შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და "გამარტივებული შესყიდვა ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ი/მ „მიტია გალოიან"-თან.

მიმღები მუდმივმოქმედი კომისია:

კომისიის თავმჯდომარე, მერის პირველი მოადგილე _____ შალვა ბალახაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი _____ არშაკ მინასიან

კომისიის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი _____ მკრტიჩ მღდესიან

კომისიის წევრი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი
მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის
განყოფილების უფროსი _____ გარეგინ კალივონჯიან

კომისიის წევრი, ეკონომიკური განვითარებისა
და ქონები მართვის სამსახურის მუნიციპალური
ქონების აღრიცხვისა და ქონების მართვის
განყოფილების უფროსი _____ ვაგან ბატოიან